ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-8 მუხლების მეორე პუნქტების, მე-19 მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების გათვალისწინებით, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობება და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად ჩაითვალოს “ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (www.matsne.gov.ge, 190020020 35. 119. 016545 29/01/2025) ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან

საკრებულოს თავმჯდომარე **აკაკი გოფოძე**

დანართი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

	რანგი, კატეგორია	**თანამდებობა**	**რაოდენობა**	**სარგო**
1		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1	6600
2		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4991
3		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4347
4		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3542
5		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3220
6		პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2575

7		ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს აპარატის უფროსი	**1**	**3200**
8	II რანგი (მე-2 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა)	განყოფილების უფროსი	**2**	**2560**
9	III რანგი (I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა)	უფროსი სპეციალისტი	**12**	**1600**